სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N 1.1/ 53

23. 04 .2019 წ.

ქ.თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი ინფორმაციის ფორმის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 57-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების" მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაშიგანსათავსებლად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმა შემდეგი რეკვიზიტებით (ფორმა ელექტრონული სახით თან ერთვის ბრძანებას CD დისკის სახით):
   ა) იურიდიული პირის სახელწოდება;
   ბ) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა;
   გ) იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) იურიდიული პირის მისამართი:
      დ.ა) რეგიონი;
      დ.ბ) მუნიციპალიტეტი;
      დ.გ) მისამართი.
   ე) იურიდიული პირის ფაქტობრივი მისამართი:
      ე.ა) რეგიონი;
      ე.ბ) მუნიციპალიტეტი;
      ე.გ) მისამართი.
   ვ) იურიდიული პირის ელექტრონული ფოსტა;
   ზ) იურიდიული პირის ტელეფონის ნომერი;

თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე;
თ) ადგილების ზღვრული სახელწოდება;
ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
კ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
კ.ა) განათლება;
კ.ბ) ასაკი;
კ.დ) სხვა.
ლ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი:
ლ.ა) რეგიონი;
ლ.ბ) მუნიციპალიტეტი;
ლ.გ) მისამართი.
მ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე;
ნ) განათლების კლასიფიკატორის საერთაშორისო სტანდარტი (ISCED):
ნ.ა) ფართო სფერო;
ნ.ბ) ვიწრო სფერო;
ნ.გ) დეტალური სფერო.
ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
პ) პარტნიორი ბიზნესი:
პ.ა) დასახელება;
პ.ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;
პ.გ) საკონტაქტო პირი;
პ.დ) ტელეფონის ნომერი;
პ.ე) ელექტრონული ფოსტა.

2. განისაზღვროს, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად, დაწესებულების მიერ, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმა შემდეგი რეკვიზიტებით (ფორმა ელექტრონული სახით თან ერთვის ბრძანებას CD დისკის სახით):
ა) იურიდიული პირის სახელწოდება;
ბ) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა;
გ) იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე;
ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის წესი (ღია/დახურული);
ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის თარიღი;
თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების თარიღი;
ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღი;
კ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
ლ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
მ) აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
ნ) დასაქმების სფერო (ეკონომიკური საქმიანობის სახეები, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით);

3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფორმით ინფორმაციის წარმოდგენის ვადად

განისაზღვროს, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის შესახებ შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

4. შესაბამისი იურიდიული პირის მიერ, წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმით ინფორმაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის დაწყების თარიღის დადგომამდე, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
5. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე განთავსების გზით.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსიტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განათლების მიმართულებების მენეჯერის (ბიზნეს ანალიტიკოსის), ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2019 წლის 22 აპრილის N465951 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი **დიმიტრი ბერიძე**